№61 2016 წლის 18 იანვარი ქ. თბილისი

საქართველოსა და ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკს (EBRD) შორის 2013 წლის 25 ოქტომბერს გაფორმებული სასესხო ხელშეკრულებით გათვალისწინებული „ჯვარი-ხორგას ელექტროგადამცემი ხაზის“ მშენებლობის პროექტის 220 კვ ეგხ-ის პირველი (0 კმ – 20 კმ), მესამე (40 კმ – 60 კმ) და 500 კვ ეგხ-ის მეოთხე (0 კმ – 8 კმ) სექციების განხორციელებასთან დაკავშირებით გასატარებელი ღონისძიებების შესახებ

1. ცნობად იქნეს მიღებული საქართველოს ენერგეტიკის სამინისტროს მიერ წარმოდგენილი ინფორმაცია საქართველოსა და ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკს (EBRD) შორის გაფორმებული სასესხო ხელშეკრულების („ჯვარი-ხორგას ელექტროგადამცემი ხაზი“) ფარგლებში (რატიფიცირებულია საქართველოს პარლამენტის 2013 წლის 11 დეკემბრის №1725-Iს დადგენილებით) ჯვარი-ხორგას ელექტროგადამცემი ხაზის მშენებლობის პროექტის ზემოქმედების არეალში მოქცეულ მოსახლეობასა და მიწის ნაკვეთებთან დაკავშირებით განსახორციელებელი ღონისძიებების შესახებ, რომელიც ასახულია EBRD-თან შეთანხმებულ განსახლების პოლიტიკის ჩარჩოდოკუმენტში.

2. შეთანხმებულ იქნეს ჯვარი-ხორგას ელექტროგადამცემი ხაზის (500/200 კვ საჰაერო ელექტროგადამცემი ხაზების „ქვ. ხორგა – ქვ. ჯვარი“ და „ქვ. ჯვარი – ეგხ „კავკასიონში“ შეჭრა) მშენებლობის პროექტის 220 კვ ეგხ-ის პირველი (0 კმ – 20 კმ), მესამე (40 კმ – 60 კმ) და 500 კვ ეგხ-ის მეოთხე (0 კმ – 8 კმ) სექციების განსახლების სამოქმედო გეგმები (RAP).

3. სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემამ“, EBRD-თან შეთანხმებული განსახლების პოლიტიკის ჩარჩოდოკუმენტისა და განსახლების სამოქმედო გეგმების შესაბამისად:

ა) მოახდინოს ჯვარი-ხორგას ელექტროგადამცემი ხაზის მშენებლობის პროექტის ფარგლებში 220 კვ ორჯაჭვა ელექტროგადამცემი ხაზის მშენებლობის პროექტის პირველი (0 კმ – 20 კმ), მესამე (40 კმ - 60 კმ) და 500 კვ ორჯაჭვა ელექტროგადამცემი ხაზის მშენებლობის პროექტის მეოთხე (0 კმ - 8 კმ) სექციების ზემოქმედების არეალში მოხვედრილი მოსახლეობისგან პროექტის მიზნებისთვის საჭირო მიწის ნაკვეთების, მასზე დამაგრებული შენობა-ნაგებობების (ქონების) სარეგისტრაციო თანხის ანაზღაურება, საჭირო მიწის ნაკვეთებისა და ქონების გამოსყიდვა და სხვა სახის კომპენსაციის გაცემა. ამ განკარგულებით გათვალისწინებულ პროექტზე ვრცელდება საქართველოს მთავრობის 2011 წლის 29 დეკემბრის №509 დადგენილებით დამტკიცებული „საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ გაწეული მომსახურების საფასურის განაკვეთები, საფასურის გადახდევინების წესი და მომსახურების ვადების“ მე-6 მუხლის „უ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული შეღავათები;

ბ) უზრუნველყოს ასაშენებელი ჯვარი-ხორგას ელექტროგადამცემი ხაზის ზემოქმედების ქვეშ მოქცეული, ანძის პოლიგონების განთავსებისათვის საჭირო, სახელმწიფო, ხობის, ზუგდიდისა და წალენჯიხის მუნიციპალიტეტების საკუთრებად რეგისტრირებული ან/და დასარეგისტრირებელი ქონების იდენტიფიცირება, დასარეგისტრირებელი ქონების რეგისტრაციისათვის საჭირო შესაბამისი დოკუმენტაციის

მომზადება და აღნიშნულ ქონებაზე საკუთრების უფლების რეგისტრაციის მიზნით ამ დოკუმენტაციის სსიპ – საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოსათვის საკუთრების უფლების რეგისტრაციის მოთხოვნის უფლებამოსილების მქონე უწყებისათვის წარდგენა.

4. ეთხოვოთ ხობის, ზუგდიდისა და წალენჯიხის მუნიციპალიტეტებს:

ა) ამ განკარგულების მე-3 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული იმ ქონების, რომელიც რეგისტრირებულია მათ საკუთრებაში, კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად, სახელმწიფოს საკუთრებაში გადაცემის საკითხის განხილვა;

ბ) ამ განკარგულების მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ იმ ქონებაზე, რომელიც იმყოფება ჯვარი-ხორგას ელექტროგადამცემი ხაზის მშენებლობის პროექტის 220 კვ ეგხ-ის პირველი (0 კმ – 20 კმ), მესამე (40 კმ – 60 კმ) და 500 კვ ეგხ-ის მეოთხე (0 კმ - 8 კმ) სექციების ზემოქმედების არეალში მოხვედრილი მოსახლეობის სარგებლობაში, განახორციელონ სათანადო ღონისძიებები მოსახლეობის მიერ აღნიშნული ქონების სსიპ – საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში საკუთრების უფლებით რეგისტრაციის ხელშეწყობის მიზნით.

5. დაევალოს საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედ სსიპ – სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოს, უზრუნველყოს კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად ამ განკარგულების მე-3 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ქონების და ამ განკარგულების მე-4 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად სახელმწიფო საკუთრებაში გადაცემული ქონების სს „საპარტნიორო ფონდის“ კაპიტალში შეტანა, შემდგომში სს „საპარტნიორო ფონდის“ მიერ ამავე ქონების სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის“ კაპიტალში შეტანის მიზნით.

6. სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის“ მიმართვისა და კანონმდებლობით გათვალისწინებული დოკუმენტაციის წარდგენის

შემდეგ, საქართველოს იუსტიციის სამინისტრომ და მისი მმართველობის სფეროში მოქმედმა სსიპ – საჯარო რეესტრის ეროვნულმა სააგენტომ უზრუნველყონ ამ განკარგულების მე-3 პუნქტით გათვალისწინებული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთების მიზნობრივი დანიშნულების შეცვლა მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

პრემიერ-მინისტრი **გიორგი კვირიკაშვილი**